



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და
ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 12 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი 30 ივლისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448 211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტები

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიოლოგიის დოქტორი 0511
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	40 სასწავლო
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა მჭედლური ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ნაკაშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი სსიპ. ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით არსებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის სადოქტორო პროგრამებს და ანიჭებდა აკადემიურ ხარისხს სამი მიმართულებით (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) (გადაწყვეტილება №18. 03. 02. 2015). მას შემდეგ, რაც კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღარ არიან უფლებამოსილი, რომ მიანიჭონ სადოქტორო პროგრამაზე ერთზე მეტი კვალიფიკაცია, რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ იქნა დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამა ბიოლოგიაში.

სადოქტორო პროგრამა, რომელიც მოიცავს 180 ECTS კრედიტს, შედგება სასწავლო (40 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისაგან (140 კრედიტი). უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში წერია: „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. ამავდროულად, კანონი არაფერს ამბობს კვლევით ნაწილში კრედიტების რაოდენობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიჩნეული, პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიაში კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ საერთაშორისო დონეზე კვლევისა და სწავლების გამოცდილება. დოქტორანტების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკით და ბიოუსფრთხობების შესაბამისი დონეებით. უნივერსიტეტის ბაზაზე, ბიოლოგიის მიმართულებით მიმდინარე კვლევებში დოქტორანტების ჩართულობა ხელს უწყობს მათ მაღალკვალიფიციურ მკვლევარებად ჩამოყალიბებას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს ხუთ სასწავლო კურსს (სავალდებულო საგანს) – 25 კრედიტი და სამ სადოქტორო სემინარს -15 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი კი - ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევით პროექტსა და განხორციელების გეგმას, სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს (სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციას, მოხსენებებს და სხვ.), სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დისერტაციის დაცვას. კვლევითი გეგმა ინდივიდუალურია და ხორციელდება ერთი დოქტორანტის მიერ, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებამდე, დოქტორანტი წარადგენს შესრულებულ კვლევით კომპონენტს (კვლევითი ნაწილი I-II- III- IV-V). დოქტორანტურა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით. სადოქტორო

დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, ენიჭება აკადემიური ხარისხი - ბიოლოგიის დოქტორი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სწავლის შედეგების სისტემატურ ანალიზსა და მონიტორინგს, რაც იძლევა პროგრამის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას და შესაბამისი ზომების დაგეგმვა/გატარებას. ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული პირებისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ, გაანალიზებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ერთობლივი რესურსებით იძლევა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის სრულყოფილ გარემოს, როგორც დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ისე, ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებისათვის.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2020 წლის 12 ივნისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. ადგილზე ვიზიტის დროს იყო მშვიდი, კონსტრუქციული და თანამშრომლობითი გარემო. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სტანდარტი. ყველა დაგეგმილი შეხვედრა შედგა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, კერძოდ, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტურის კოორდინატორთან (პროგრამის ხელმძღვანელი გასაუბრებას არ ესწრებოდა), პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან (სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან), სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, სასწავლო და სასწავლო სამეცნიერო ტიპის ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ვიზუალური დათვარიელება. ბიბლიოთეკაში გადამოწმდა ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ადგილზე ვიზიტი დასრულდა შეუფერხებლად, დღის წესრიგის და განრიგის მიხედვით. უსდ-ს მხრიდან ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და ნაყოფიერად მონაწილეობისათვის. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე დაკმაყოფილდა პროფესიონალურად.

ვიზიტის დასრულებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის შესახებ ძირითადი მიგნებებისა და ჩამოყალიბებული მოსაზრებების გაცნობა, როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის, ისე, პროგრამის ხელმძღვანელებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზს და დაწესებულების კრიტიკულ

მიმოხილვას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. სადოქტორო პროგრამის შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან;

2. ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიის დოქტორი, რომელიც შეძლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამაში იყოს არჩევითი სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა (მათთვის ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება). რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში არაა ჩანაწერი აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებსა და მის დაცვაზე, რომელთა გათვალისწინების უგულებელყოფა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში.

2. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებში ჩანაწერი: „ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა“ (მუხლი 4) დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან, სადაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითხოვს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნას ან დამადასტურებელი მოწმობის წარდგენას.

3. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ უზრუნველყოს თავისუფალი კომპონენტების არჩევითობა;

4. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისათვის აუცილებელია კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომ, სასურველია, პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში დაემატოს ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები (არჩევითი მიმართულებების მიხედვით).

5. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ქვეყნის წამყვანი მეცნიერები, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, განვითარების მხრივ. სასურველი იქნება თუ მოწვეულ მეცნიერებს შორის ვიხილავთ მეცნიერებს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან და ს/კ ცენტრებიდან.

6. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა შექმნილია ძლიერ სამეცნიერო - კვლევით ბაზაზე, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში ბიოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელებას, ამიტომ, პროგრამის გაძლიერებისა და განვითარებისათვის სასურველია კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო და/ან ადგილობრივი კვლევითი გრანტის მოზიდვა და მათში დოქტორანტურის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა.

7. პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების (აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ) საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - ბიოლოგიაში სამეცნიერო კვლევების განხორციელების უზრუნველყოფა; კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გააქტიურება, სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლება და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში; ბიოლოგიაში ახალი</p>

ცოდნის შექმნისა და გავრცელების უზრუნველყოფა. პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერის დაწყებისთვის. პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ სამომავლო სამეცნიერო ინტერესები და ჩაერთონ მათთვის ახალ და მომიჯნავე დარგების კვლევებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა დოქტორანტები ორიენტირებულნი არიან კომპლექსური, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარის მოთხოვნებზე. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი - აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- ინტერვიუების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის კოორდინატორთან და აკადემიურ პერსონალთან.
- ვებ-გვერდები: www.freeuni.edu.ge; www.agruni.edu.ge.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში არაა ჩანაწერი აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებსა და მის დაცვაზე, რომელთა გათვალისწინების უგულებელყოფა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ერთმანეთთან, გაზომვადი და რეალისტურია. სწავლის შედეგები ითვალისწინებს ცოდნის, უნარების, კომპეტენციების, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობების ასპექტებს. სწავლის შედეგების და მიზნების ურთიერთმიმართება ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ურთიეთკავშირი აქვს თითოეულ შედეგს პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგები ადეკვატურია ბიოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის და ითვალისწინებს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებას დანართის სახით თან ერთვის საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტის ერთობლივი დოკუმენტი - „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. შეფასების მექანიზმში აღწერილი სისტემა იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების მექანიზმში აღწერილი და გამოყენებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში ნათლად და დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ასახავს მოლოდინს თუ რა დონით მიაღწევს სტუდენტი თითოეულ სწავლის შედეგს; ასახულია თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე მოხდება პროგრამის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება ცვლილებების შეტანა პროგრამის შინაარსში და/ან სწავლის შედეგებში და/ან შეფასების სისტემაში.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუები პროგრამის კოორდინატორთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ პერსონალთან; დამსაქმებლებთან; კურსდამთავრებულებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>არ არის</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არ არის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,	X			

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
---	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულებით და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვას.</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, უცხო ენის B2 დონის ცოდნა და სამოტივაციო წერილი საკვლევი თემის აქტუალობასთან დაკავშირებით, რაც იძლევა საშუალებას მოხდეს ახალი იდეების მქონე კანდიდატის შერჩევა. (ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა (მუხლი 4), რაც წინააღმდეგობაში მოდის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან, სადაც აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა). იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ ფლობს ინგლისური ენის დამადასტურებელ დოკუმენტს, იგი უნივერსიტეტში აბარებს ინგლისური ენის გამოცდას.</p> <p>ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი, თუ ის ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს რელევანტურ სამეცნიერო დარგში, გასაუბრებას გადის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივ საბუნებისმეტყველო სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ ბიოლოგიის სამეცნიერო მიმართულებების</p>

კომისიასთან. სხვა შემთხვევაში, შესაბამისი დარგობრივი ცოდნის შესამოწმებლად, აბარებს ზეპირ და წერით გამოცდას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებული პირის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ განცხადების განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიიღება: კანდიდატის პროფესიული ან/და აკადემიური მიღწევები, ახალი ცოდნის შექმნის პოტენციალი, გამორჩეული აკადემიური მოტივაცია, ინტენსიური და თანმიმდევრული შრომის უნარი, დროის ორგანიზებისა და საკუთარი სასწავლო განრიგის განსაზღვრის უნარი, ფართო პროფესიული ცოდნა; გამორჩეული ანალიტიკური აზროვნების უნარი; ზუსტი დაკვირვებისა და კრიტიკული შეფასების უნარი; კრეატიული და ორიგინალური აზროვნების უნარი; კომპლექსური იდეების ცხადად და ლაკონურად გადმოცემის უნარი.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორები, შესაბამისი კომისიის მიერ წარდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, გამოსცემენ ბრძანებებს პირის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ. სადოქტორო პროგრამაზე ასევე, შესაძლებელია ჩარიცხვა შიდა ან გარე მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისა-ნიჭებელ კვალიფიკაციასთან. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების ვებგვერდებზე. შესაბამისად, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ვებ-გვერდები: <http://agruni.edu.ge>, <http://freeuni.edu.ge>
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებში ჩანაწერი: „ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა“ (მუხლი
- დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან, სადაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითხოვს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნას ან დამადასტურებელი მოწმობის წარდგენას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მიხედვით. შესაბამისად, შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული სასწავლო კურსებისაგან, რომელთა შესწავლა პროგრამის მიზნებით და შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციის გამომუშავებას და კვალიფიკაციის მიღებას განაპირობებს. სადოქტორო პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგებით განისაზღვრება პროგრამის საერთო შედეგები. თითოეული კომპონენტი ავითარებს კომპეტენციების იმ დონეს, რომელიც შეესაბამება ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს. კომპეტენციების ფორმირება ხდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული დოქტორანტურის საფეხურის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას.

ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიოლოგიის დოქტორის ხარისხი. პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების დროს ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება ერთობლივად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვისას სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის: სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი, დოქტორანტურის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელები. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული: რექტორი, პრორექტორები, მიმართულების ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები და სტუდენტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან (დოქტორანტურა) და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან, სასწავლო კომპონენტი - 40 კრედიტი, კვლევითი - 140 კრედიტი. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობები განაწილებულია გონივრულად და სრულ შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან.

სასწავლო კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ სფეროში დახელოვნებას მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის (5 კრედიტი); სადისერტაციო კვლევის მომზადება (5 კრედიტი); რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (6 კრედიტი); სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი (5 კრედიტი); სწავლება უმაღლეს განათლების სისტემაში - (4 კრედიტი); სადოქტორო სემინარი (x 3) – (15 კრედიტი);

კვლევითი კომპონენტი მოიცავს: კვლევითი ნაწილი I (კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი); კვლევის ნაწილი II (ბიბლიოგრაფია და მეთოდოლოგიური მონახაზი); კვლევის ნაწილი III (მასალების შეგროვება, სადისერტაციო კვლევის პროექტი); კვლევის ნაწილი IV (მასალების შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, I თავის წარდგენა); კვლევის ნაწილი V (სადისერტაციო ნაშრომის ტექსტზე მუშაობა, შედეგების გადამოწმება, სამეცნიერო/სასწავლო ნაშრომის/სტატიის მომზადება და გამოქვეყნება); კვლევის ნაწილი VI (სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსია, საჯარო დაცვა).

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის მიერ დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო მასალის მოძიებას და გაცნობას, არსებული ცოდნის მიმოხილვას, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და ტესტირებას, მონაცემების შეგროვებას, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, პრეზენტაციას და დაცვას (სამეცნიერო შეკითხვები, კამათი). კვლევითი კომპონენტი ასევე მოიცავს სტატიის სავალდებულო გამოქვეყნებას. დოქტორანტურაში სწავლა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; თვითშეფასებიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის სტრუქტურის ორივე კომპონენტი, როგორც სასწავლო, ისე კვლევითი უზრუნველყოფს პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, მეტიც, ორიენტირებულია დოქტორატისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - კვლევითი პროცესის გონივრულად წარმართვაზე, რაც ასევე დასტურდება დოქტორატებთან ინტერვიუების დროს.

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის მინიჭებული 180 კრედიტი, საიდანაც კვლევითი კომპონენტი მოიცავს 140 კრედიტს, შეუსაბამობაშია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ჩანაწერის მიხედვით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. ამავდროულად, კანონი არაფერს ამბობს კვლევით ნაწილში კრედიტების რაოდენობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილადია მიჩნეული, პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

აღსანიშნავია, რომ არსებული სადოქტორო პროგრამა არ უზრუნველყოფს თავისუფალ კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. არჩევითი სასწავლო კურსების არსებობა ხელს შეუწყობს დოქტორანტების ინტერესების შესაბამისად, სფეროს ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებას. მაგალითად, კონცეფციის მიხედვით, პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიის დოქტორი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ საქმიანობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამაში იყოს არჩევითი სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა (მათთვის ვისაც არ აქვთ პედაგოგიური გამოცდილება). რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში.

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერი განათლების მქონე კანდიდატს, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა მაგისტრის ხარისხს რელევანტურ სამეცნიერო დარგში. ასეთ შემთხვევაში სპეციალური კომისია ადგენს ექსტრაკურიკულარული სწავლის გეგმას არსებული დეფიციტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად და ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა კრედიტების მიღების გარეშე გაიაროს შესაბამისი კურსები (ორივე უნივერსიტეტის ფარგლებში, დარგში შეთავაზებული მრავალფეროვანი კურსების სიიდან). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში რელევანტური იქნებოდა, სწორედ, არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში მიეცეს დოქტორანტს შესაბამისი საგნის არჩევის უფლება.

ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტების თავისუფალ ჩართულობას მათთვის საჭირო კვლევის მეთოდების ასათვისებლად, მეტიც ისინი თავისუფლად ირჩევენ მათი კვლევის მიმართულებიდან გამომდინარე ასათვისებელ მეთოდებს და ეუფლებიან.

სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისათვის აუცილებელია კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომ, სასურველია, პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში დაემატოს ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები (არჩევითი მიმართულებების მიხედვით).

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ სთავაზობს თავისუფალი კომპონენტების არჩევითობას, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევას. პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯაროა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- კომპეტენციების რუკა
- თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა
- ინტერვიუები
- ვებ-გვერდები: <https://agruni.edu.ge/>, <http://freeuni.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან
- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიის დოქტორი, რომელიც შეძლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამაში იყოს არჩევითი სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა (მათთვის ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება). რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ უზრუნველყოს თავისუფალი კომპონენტების არჩევითობა;
- სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისათვის აუცილებელია კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომ, სასურველია, პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში დაემატოს ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები (არჩევითი მიმართულებების მიხედვით).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობას შორის თანაფარდობა გამომდინარეობს სასწავლო კურსების სპეციფიკიდან; რაც შეეხება ცალკეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდებს და გამოყენებულ ლიტერატურას შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასწავლო კურსები - აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფს აკადემიური წერის სტანდარტების გაცნობას, რაც მეტად მნიშვნელოვანია სადოქტორო ნაშრომის მოსამზადებლად. ინტერვიუებით იკვთება, რომ სტუდენტები იყენებენ ლიტერატურის ციტირებასთან დაკავშირებულ არსებულ პროგრამებსაც. სასწავლო კურსი - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან კურსს და უზრუნველყოფს სწორედ სტატისტიკასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების გაზიარებას მომავალი მკვლევარისთვის, რაც არის იმის გარანტი, რომ დოქტორანტი შეძლებს სწორად დაგეგმოს ექსპერიმენტი და უზრუნველყოს მიღებული მონაცემების სწორად დამუშავება და სარწმუნო დასკვნების ფორმულირება. აღნიშნული სასწავლო კურსის დადებითი მხარეა ისიც, რომ სასწავლო კურსი ითვალისწინებს კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო ამარტივებს პრობლემის მაღალი სიზუსტით გადაჭრის შესაძლებლობებს მომავალი მკვლევარისთვის. სასწავლო კურსი სადისერტაციო კვლევის მომზადება, ეხმარება დოქტორანტს მითვის აუცილებელი ისეთი უნარების გამომუშავებაში, როგორცაა სადისერტაციო კვლევის (კვლევების) დაგეგმვა, მომზადება, განხორციელება, და საბოლოოდ მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კიდევ უფრო პროდუქტიულს ხდის დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობას. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მიჰყავს ძალიან მაღალკვალიფიციურ მეცნიერს (რომლის ავტორობითა ან

თანავტორობით გამოქვეყნებულია 479 სამეცნიერო ნაშრომი და 14262 Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი შეადგენს). რაც შეეხება სასწავლო კურსს - სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტს, ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო განაცხადის პროექტის მოსამზადებლად და წარმატებით განსახორციელებლად. სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში - სასწავლო კურსის გაზიარება კი მეტად მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საქმიანობისათვის. კერძოდ, დოქტორანტი ეცნობა ბოლონის პროცესთან დაკავშირებულ ასპექტებს, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თავისებურებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. რაც უკვე არის იმის გარანტი, რომ სტუდენტი შეძლებს წარმატებით ჩაერთოს ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პროცედურებში. სადოქტორო სემინარების (I,II,III) ძირითადი მიზანია დოქტორანტს გამოუმუშაოს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა და მეცნიერული ანალიზის უნარი, კვლევითი მეთოდებისადმი საჭიროების შემთხვევაში ახალი მიდგომების შემუშავება, რათა შეძლონ პრობლემის სწორად ფორმულირება, სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეული დამუშავების შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა. წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით, თითოეული სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

გარდა აღნიშნულისა, დოქტორანტებს მიჰყავთ ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, შესაბამისად აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესშიც.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ არის არჩევითი სასწავლო კომპონენტები. როგორც პროგრამის კოორდინატორის და აკადემიური პერსონალის შეხვედრის დროს გაირკვა, სტუდენტი ინდივიდუალურად დარგის პროფესიონალებთან კონსულტაციების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის კვლევის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, გეგმავს შესაბამისი კვლევის მეთოდების ათვისებას, რასაც გვიდასტურებენ შეხვედრის დროს. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით და პროგრამის სრულყოფისათვის უმჯობესი იქნება სადისერტაციო ნაშრომის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა დოქტორანტს სასწავლო კურსის სახით სთავაზობდეს ექსპერიმენტულ კვლევის მეთოდებს.

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები შერჩეული და ფოკუსირებულია დოქტორატისთვის ყველაზე მთავარი და აუცილებელი უნარების განვითარებაზე, საბოლოოდ, პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი მკვლევარი შეაიარაღოს მისთვის აუცილებელი ცოდნით, როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მიმართულებით.

სასწავლო კურსებით გათვალისწინებული საჭირო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდს გააჩნია დოქტორანტისათვის საჭირო ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები; ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების ქსელში, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება დოქტორანტებს კვლევითი ნაშრომისათვის საჭირო ინფორმაციის იოლად მოძიებაში.

შემუშავებულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომელშიც გაწერილი ყველა კომპონენტი. ამდენად, პროგრამის მიხედვით, წარმოდგენილ სავალდებულო სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია დოქტორატისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესწავლა შესძენს დოქტორანტს თეორიულ

ცოდნას, გამოუმუშავებს სამეცნიერო კვლევით და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელთა საფუძველზეც სტუდენტი შეძლებს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით და შემდგომ მის საჯარო დაცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების შესაბამისად, ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამეცნიერო-კვლევითი უნარების, ისევე როგორც ტრანსფერული უნარების გამომუშავებას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსების არსებობა, როგორცაა, აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სადისერტაციო კვლევის მომზადება, სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში სასწავლო კურსების არსებობა. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტს უნივერსიტეტი აძლევს შესაძლებლობას მათი საჭიროებიდან გამომდინარე დაეუფლონ კვლევის საჭირო ტექნიკასა და მეთოდებს. უნივერსიტეტი მაქსიმალურად მხარს უჭერს დოქტორანტის ჩართულობას სასწავლო პროცესშიც, რაც მიმართულია სწავლებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებისკენ და მოტივაციის ამაღლებისაკენ.

დოქტორანტის მომზადებაში ძირითადია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება. უნივერსიტეტში არსებული რესურსები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) მათ შორის სამეცნიერო პოტენციალი პრაქტიკულად უნაკლოდ უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებებს სამეცნიერო თვალსაზრისით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან დარგის კვალიფიციური პროფესიონალები. შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისას, მათ შორის წამყვანი სამეცნიერო ბაზების გადამოწმებისას, ნათლად ჩანს სტუდენტების აქტიური ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში, რაც დასტურდება გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევითი სტატიებით. რაც ვფიქრობთ უკვე მიუთითებს პროგრამის შედეგზე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული. დოქტორანტები აქტიურად არიან ჩართული თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების ფარგლებში მიმდინარე კვლევებში; განსაკუთრებით შესამჩნევია ისიც, რომ სტუდენტები სამეცნიერო პერსონალთან ერთად ჩართული არიან არამარტო თავიანთ სამეცნიერო ნაშრომთან დაკავშირებულ კვლევებში, არამედ, სხვა მიმდინარე კვლევებშიც, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის ინტერდისციპლინურ მიდგომას, კერძოდ, შესამჩნევია გუნდური მუშაობა და პრობლემების გაზიარება, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუების დროს, ისე გამოქვეყნებული პუბლიკაციების გადამოწმებისას, რომელთა უმეტესობა გამოქვეყნებულია Web of Science-ის მაღალ იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

გარდა აღნიშნულისა, თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მხარდაჭერით სტუდენტს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სტუდენტების თანავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და კონფერენციებში მონაწილეობა
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს დატვირთვის სხვადასხვა სახეებს. პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და ხერხები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას, რაც კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში, ხოლო, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, უნივერსიტეტი იცავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს: სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვა - განხორციელებას; სწავლებისა და სწავლის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების კომბინირებას.

პროგრამის კომპონენტების შინაარსი, მოცულობა და სწავლების მეთოდები

უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდები შეესაბამება თანამედროვე მეთოდოლოგიას, მათ შორის სპეციფიკურ მოთხოვნებს დოქტორანტის მოსამზადებლად. დოქტორანტი ახორციელებს პროგრამის კვლევით კომპონენტს მინიმუმ სამი წლის განმავლობაში პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობით.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, და გამომდინარეობს კურსის შინაარსიდან, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები (ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, პრაქტიკული და ლაბორატორიული კვლევები, ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მაქსიმალურად მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასების სისტემა შეესაბამება სწავლის შედეგებს და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას. სასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას; სემინარზე მუშაობას; აქტიურობას; შუალედურ გამოცდებს; საშინაო დავალებებს; ლაბორატორიული კვლევები; პრაქტიკულ სამუშაოებს; პროექტებს წერით ნაშრომებს; ზეპირ გამოკითხვებს; პრეზენტაციებს; ღია/დახურულ ტესტებს

დასკვნით გამოცდებს; სადისერტაციო ნაშრომს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კრიტერიუმების გამჭვირვალობა, შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. სტუდენტისთვის შეფასების გამჭვირვალე სისტემა ხელმისაწვდომია სილაბუსში, რომელიც განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. სილაბუსში გაწერილი რუბრიკების და ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ მიღწეული ცოდნის დონის შესაბამის როგორ შეფასებს იღებს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის გაწერილი რუბრიკები და დეტალურად აღწერილი კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები საგნის ფარგლებში.

ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლექტორების მიერ სტუდენტისთვის უკუკავშირის დაბრუნება. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა :

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების შესრულებული რაოდენობა ყოველ სასწავლო სემესტრში დასტურდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.

ცხადია, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ინტერვიუები
- ვებ-გვერდები: <http://agruni.edu.ge>, <http://freeuni.edu.ge>

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიოლოგიაში ერთობლივად ხორციელდება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალურ, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამაგისტრო და სადოქტორო სკოლისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. პროგრამას ჰყავს მიმართულების ხელმძღვანელები, რომლებიც სტუდენტს ინფორმაციას აწვდიან საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და კონსულტაციას უწევენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სხვა საკითხებზე.

სტუდენტი პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას. უნივერსიტეტების მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ და ღიად დევს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სწავლის დაწყებისთანავე საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, რომელსაც ატარებენ სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები.

საგნის სილაბუსებში აღწერილია როგორ ხდება სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნის გამოკითხვა და რა კონკრეტული კრიტერიუმებითა და რუბრიკებით ფასდება იგი. თითოეული საგნის ლექტორი სტუდენტებთან პირველივე შეხვედრაზე აცნობს სილაბუსს და ყურადღებას ამახვილებს შეფასების ფორმებსა და მექანიზმებზე. სტუდენტებმა კალენდარული გეგმიდან გამომდინარე, იციან, როდის ხდება კონკრეტულ საგნებში ცოდნის შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვას, კოორდინირებას და თანამედროვე, სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირებას. სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ ხელშეწყობას დოქტორანტებისათვის.

სწავლების საფეხურისა და მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით, დოქტორანტებს ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ ხელმძღვანელებთან. შეუფერხებლად იღებენ მათგან რეკომენდაციებს კვლევით თუ სხვა მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. აღნიშნული დასტურდება როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით, ისე უშუალოდ დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევით.

დაწესებულების მხრიდან თვითშეფასებასა და ინტერვიუებშიც აღინიშნა, რომ მათ მუდმივი კავშირი აქვთ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ როგორც სტუდენტების დეკანს, ისე დასაქმების მენეჯერს. მათი საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<http://agruni.edu.ge/ge/node/944>, <http://freeuni.edu.ge/ge/node/622>). აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით კურსდამთავრებულებთან უკუკავშირის შეფასება შეუძლებელია. ხოლო სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მხარდაჭერით და საკონსულტაციო მომსახურებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.
- ვებ-გვერდები: <http://agruni.edu.ge>, <http://freeuni.edu.ge>

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების გაცნობის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება დარგში გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პროფესორების, მკვლევარებისა და მეცნიერებისაგან. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს თემატიკის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა ისაუბრეს სადისერტაციო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. თითოეულ დოქტორანტი თემაზე მუშაობს ინდივიდუალურად ხელმძღვანელთან, რომელიც ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უწევს კონსულტაციას, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება მათ კორექტირებაში. ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, თუმცა არ იღებს მონაწილეობას ნაშრომის შეფასებაში.</p> <p>ნაშრომზე მუშაობის პროცესში დოქტორანტები აქტიურად თანამშრომლობენ და იღებენ კონსულტაციებს თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სამეცნიერო ინსტიტუტების და ლაბორატორიების ხელმძღვანელებსა და სამეცნიერო პერსონალისგან.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;

<ul style="list-style-type: none"> გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან;
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ წლების განმავლობაში გამოცემული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო სტატიებით, სისტემატური მონაწილეობით ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებითა და კვალიფიკაციის მიზნით, განხორციელებული აქტივობებით.

მიუხედავად ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ნაწილის CV - ში არ ჩანს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და მათ მიერ განხორციელებული აქტივობები. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი დოკუმენტაციების განახლება.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მათი დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის და აგრეთვე, შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სასწავლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება „უნივერსიტეტის პროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიურ პერსონალს და გეგმავს მათ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: პროფესორი 14; ასოცირებული პროფესორი 6; ასისტენტ პროფესორი. რაც შეეხება სამეცნიერო პერსონალს, მათი რაოდენობაც ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შეადგენს 21 მეცნიერს. მიმართულების ხელმძღვანელებს გააჩნიათ

პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტებს შემუშავებული აქვთ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი ფაილი;
- შეთანხმების ფორმა ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, მომსახურების დებულებები;
- გასაუბრება პერსონალთან;

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიუხედავად იმისა რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ქვეყნის წამყვანი მეცნიერები, განვითარების მხრივ იქნებოდა სასურველი, თუ მოწვეულ მეცნიერებს შორის ვიხილავთ მეცნიერებს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან და ს/კ ცენტრებიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს და მუდმივად ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის შეიმუშავებს პერსონალის განვითარების მეთოდებსა და მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის კულტურის ამაღლებას უნივერსიტეტში.

პროგრამა ავსებს სხვადასხვა (კლასგარეშე) სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას და ღონისძიებებს, როგორც დოქტორანტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის, რაც პერსონალის პროფესიული განვითარების საწინდარია.

კონფერენციების სიუხვე როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა უნივერსიტეტებში ქვეყნის შიგნით და უცხოეთში. უნივერსიტეტს აქვს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა და რესურსი, როგორც სამეცნიერო კვლევისთვის, ასევე სწავლებისთვის, მათ შორის ბიბლიოთეკა, მუზეუმები და საკონფერენციო დარბაზები ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით და ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზით (კატალოგი), რაც ასევე აკადემიური თუ მოწვეული სპეციალისტების პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს.

უნივერსიტეტში ფართოდაა წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გენომიქსის და პროტეომიქსის ლაბორატორიებში, რომლებიც სრულად არიან აღჭურვილები სხვადასხვა სირთულის კვლევისთვის საჭირო ლაბორატორიული ხელსაწყო-დანადგარებით, რომელთა შესაძლებლობის გამოყენება ცალსახად ხელს უწყობს პროფესიონალიზმის ამაღლებას.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პერსონალის კვლევის შეფასებისთვის წესები, ამ წესების თანახმად, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და სამეცნიერო ლიტერატურის (მონოგრაფია, სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები) დაფინანსებას. პროგრამაში ჩართული სასწავლო-სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა ასეთ სურათს იძლევა: პროექტები - 61, კოლაბორაციები - 50, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 137, ადგილობრივი ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 3, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 80, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 14, ტრენინგები - 9, მივლინებები - 30.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი განვითარება; • სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; • გასაუბრება პერსონალთან;
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h3>4.3 მატერიალური რესურსი</h3>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინსტიტუტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია დოქტორანტების თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ფუნქციონირებენ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების ბაზაზე, არიან სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL 1; BSL 2) შესაბამისი დონეებით. ფუნქციონირებს ვივარიუმი რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის.</p> <p>უნივერსიტეტების კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, კულტურის ცენტრი, კაფეტერია, საგამოცდო ცენტრი, თანამედროვე პარკინგი,</p>

მუზეუმები, კინოთეატრის დარბაზი და სხვა.

სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართო როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტებით;
- ადგილზე დათვალიერებით (არსებული სალექციო დარბაზები და ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა);
- უნივერსიტეტის არსებული ინფრასტრუქტურული ვითარება;
- უნივერსიტეტის თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო-კვლევით პერსონალთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის

საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ მიერ წარმოდგენილი ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისათვის თანდართული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სადოქტორო პროგრამა ხორციელდება თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა ძირითადად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რესურსების ხარჯზე ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ პროგრამის გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ექმნება. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური ნაკადები პროგრამის ფინანსური მდგრადობის საწინდარია. შემოსავლების წყაროები ნათლადაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში:

- სტუდენტების გადახდები 59%
- სახელმწიფო სასწავლო გრანტი 38%
- სოციალური გრანტი 3%
- სხვა დაფინანსება 0%

გარდა სტუდენტების სწავლების შემოსავლისა, აგრარულ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 23,1%), საერთაშორისო გრანტები კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 5,2%), ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისთვის (სრული შემოსავლების 7,9%) და შემოსავლები სხვა სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან (სრული შემოსავლების 18,1%).

ყურადსაღებია მდგომა: 100% იანი რეინვესტიცია განათლებაში!

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდი“, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს ასევე მეცნიერ-პედაგოგებს. რაც შეეხება ს/კ საქმიანობის დაფინანსებას: საგარეო გრანტების წილი 69,2% ხოლო შიდა საუნივერსიტეტო წილი 30,8%-ია. ინსტიტუტცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და სამეცნიერო

პერსონალთან.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა შექმნილია ძლიერი კვლევითი ბაზაზე, რაც საშუალებას აძლევს განხორციელდეს ბიოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები, სასურველია, კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევით გრანტის მოზიდვა და მათში დოქტორანტურის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას ახორციელებს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახური. აქვე უნდა აღნიშნოს, ისიც რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო თანამშრომლობს უნივერსიტეტში არსებულ სხვა სტრუქტურებთან. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში ჩანს პრორექტორების, დეკანების, სკოლის კოორდინატორების, სარეგისტრაციო ოფისის, ადამიანური რესურსების მაქსიმალური ჩართულობა. რაც აადვილებს პროგრამის პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციიდან სარწმუნოა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება გუნდურობის პრინციპს და ფოკუსირებულია ხარისხის ამღლებისა და სრულყოფისაკენ, რაც ასევე გულისხმობს პერსონალთან (როგორც აკადემიურ ისე მოწვეულ) და სტუდენტებთან თანამშრომლობასაც.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეხვედრების საფუძველზე ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც უკვე აღვნიშნეთ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, რაც პროგრამის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას კიდევ უფრო აძლიერებს.</p> <p>სასწავლო პროცესის განმავლობაში შიდა შეფასება ხორციელდება სისტემატიურად და შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით. შეფასების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები. შესაბამისად მუშავდება კითხვარები კონკრეტული კვლევის თავისებურებებიდან გამომდინარე. ხდება მიღებული მონაცემების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგების გაუმჯობესება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none">• სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.• ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა• შეხვედრა თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფთან• სასწავლო კურსების სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>არ არის</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არ არის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებას რაც შეეხება, თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას მაქსიმალურად ითვალისწინებენ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების დოკუმენტი • ვიზიტი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>არ არის</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არ არის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა პროგრამის შემუშავების პროცესში გაზიარებული იქნა უცხოური გამოცდილება. კერძოდ, პროგრამაში ჩართულ პერსონალს გარდა სამეცნიერო მიღწევებისა აქვთ უცხოურ გამოცდილება, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის შემუშავებისას. თუმცა წარმოდგენილი პროგრამა არ წარმოადგენს არცერთი უცხოური პროგრამის ანალოგს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ პროგრამის ფარგლებში საგრანტო პროექტების არსებობა, კიდევ უფრო შესაძლებელს და ადვილად მისაღწევად ხდის ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად ხდება პროგრამის მონიტორინგი და პროგრამის შედეგების ანალიზის მიხედვით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ საფუძველზე ხდება სადოქტორო პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება.

ინტერვიუების დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი აკვირდება და აფასებს სასწავლო პროცესს, რათა გაუმჯობესდეს სწავლება/სწავლის და კვლევითი პროცესი, ასევე, ერთ-ერთი ამოცანაა პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა, რეკომენდაციების განსაზღვრა და პრევენციული ზომების დაგეგმვა, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ტარდება პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა კვლევის

საფუძველზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოავლინა რა ცვლილებები მოხდა კონკრეტულად ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამაში გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებითა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ;
- პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუ;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების (აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ) საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თეა მჭედლო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირინა ნაკაშიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლევან ციციშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ანი ბილანიშვილი